

## იოანე პეტრინის მნიშვნელობის შესახებ ქართული ჰიმნოგრაფიის ისტორიაში

უკვე რამდენიმე წელია, საქართველოში ჩამოყალიბდა და აქტიურად მოღვაწეობს „ბიზანტიური გალობის შემსწავლელი ჯგუფი“, რომელიც კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს ქართული მრავალხმიანი სასულიერო მუსიკალური ხელოვნების კანონიკურობის საკითხს.

ძველი ქართული საგალობლების კანონიკურობის საკითხი ქრისტიანული თვალსაზრისით ეჭვქვეშ დგება მათი სამხმიანი ჟღერადობის გამო. ეს ბრალდება კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ ფაქტს, თუ რა შეუფასებელი ღირებულების დოკუმენტს ფლობს ქართული მუსიკალური მეცნიერება დიდი ქართველი ღვთისმეტყველისა და ფილოსოფოსის – იოანე პეტრინის (XI ს.) ფილოსოფიის სახით. პეტრინის თხზულებებში დაფიქსირებული სამუსიკო ინფორმაცია ქართული მრავალხმიანობის თავისთავადობისა და ხმოვანების ისეთი რანგის წერილობითი დოკუმენტია, რომლის წინაშეც უძლური ხდება ნებისმიერი ბრალდება.

პეტრინის ლექსიკაში დაფიქსირდა მეტად ღირებული მასალა მისი ეპოქის შესაბამისი ეროვნული მუსიკალური ტერმინოლოგიიდან, რომელიც უკავშირდება მრავალხმიანობას.

2) გაკეთდა განაცხადი ბერძნული ჰარმონიისა და მისი შესაბამისი ქართული ტერმინის – „მორთულება“ („ნართი“) არსობრივი განსხვავების შესახებ (იაშვილი, 1975: 36; ფირცხალავა, 1994: 86).

3) რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, წმიდა სამების – მამა, ძე, სულიწმიდის ერთების არსის განსამარტავად მოშველიებულ იქნა უთვალსაჩინოესი ნიმუში – სამხმიანობის ფაქტი ეროვნული ვოკალური პრაქტიკიდან (პეტრინი, 1937: 220).

ფილოსოფოსის მიერ ეროვნულ მუსიკალურ ხელოვნებაში დანახული მუსიკალური დიალექტიკის პრინციპი – სამი განსხვავებული ხმის (მზახრი, ჟირი, ბამი) ერთობლივი ჟღერადობით მიღებული ჰარმონია (ქართულად „მორთულება“) შედარდა უმნიშვნელოვანეს ქრისტიანულ დოგმას – მამა, ძე, სულიწმიდის ერთებას და გამოცხადდა მის მუსიკალურ ანალოგიად. ამგვარი შედარებით ფილოსოფოსმა, ფაქტობრივად, დაასაბუთა წმ. სამების დოგმისადმი ეროვნული სამხმიანი გალობის შესაბამისობა და, აქედან გამომდინარე, მისი სრული კანონიკურობა.

ისინი, ვისაც ეჭვი შეაქვს ძველი ქართული სამხმიანი გალობის კანონიკურობაში, ცდილობენ გააუფასურონ პეტრინის მიერ დაფიქსირებული, არსებითი მნიშვნელობის მქონე სამუსიკო ინფორმაცია. მათი ბრალდება მოტივირებულია შემდეგი არგუმენტებით: 1) უარყოფილია პეტრინისეული მუსიკალური პარალელების კავშირი ხმიერ მუსიკასთან.

2) ნეოპლატონიზმში მხილებული ქართველი ღვთისმეტყველის სამუსიკო ინფორმაცია მიჩნეულია არადაამაჯერებლად, შესაბამისად, ბათილად.

მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება, ქართული სამხმიანობა XI საუკუნეში წერილობით დაფიქსირებულია. ამ მხატვრული ფაქტის მოწმე პეტრინია. დღევანდელ დოგმატიკოსთა ბრალდებას არ ძალუძს დაამციროს პეტრინისეულ სამუსიკო არგუმენტთა ღირებულება. მეცნიერული კვლევის შემთხვევაში მნიშვნელობა ვერ მიენიჭება იმას, თუ ამა თუ იმ პრობლემასთან დაკავშირებული წერილობითი

ინფორმაცია ვის ეკუთვნის – ორთოდოქს ღვთისმეტყველსა თუ ნეოპლატონიზმში ბრალდებულ ფილოსოფოსს. მით უმეტეს, რომ პეტრინის ფილოსოფიის მიზანდასახულება სრულიადაც არ ითვალისწინებს სამუსიკო პრობლემების განხილვას. თეოლოგიურ-ფილოსოფიური პრობლემების განხილვისას მუსიკალური „ხედვა“ ავტორის შემოქმედებითი მეთოდი, მხატვრული ხერხია.

იოანე პეტრინის ბრალეულობის გარკვევა ქრისტიანული სარწმუნოების წინაშე სცილდება ჩვენს კომპეტენციას, მაგრამ რადგანაც ქართული სამხმიანი გალობის კანონიკურობაში დაეჭვებული ოპონენტების მთავარი არგუმენტი პეტრინის სანინალმდევოდ ნეოპლატონიზმია, ამიტომ, ჩვენ ქართველი მოაზროვნის სწორედ ამ ბრალეულობის გათვალისწინებით შევეცდებით დავასაბუთოთ მის ფილოსოფიაში დაფიქსირებული სამუსიკო ინფორმაციის ჭეშმარიტი ღირებულება.

მეცნიერთა თვალსაზრისი პეტრინის აზროვნებითი პრინციპების, მისი მსოფლმხედველობის შესახებ განსხვავებულია და ასე გამოიყურება: 1) ორთოდოქსი-ღვთისმეტყველი (კ. კეკელიძე; მ. გოგიბერიძე); 2) აღმოსავლური რენესანსის სათავეებთან მდგომი ნეოპლატონიკოსი (შ. ნუცუბიძე; ა. ლოსევი); 3) იოანე პეტრინის ფილოსოფია იტევს ზემოთ დასახელებულ ორივე თვალსაზრისს (რ. სირაძე).

რაში ედებოდათ ბრალი ნეოპლატონიკოსებს? – ნეოპლატონიზმმა, როგორც ფილოსოფიურმა მიმდინარეობამ აღიარა „ორგვარი სიბრძნე“. მან ღვთისმეტყველების და ფილოსოფიის მორიგება სცადა. პეტრინის ბრალეულობა იმაშია, რომ იგი ქრისტიანული დოგმის დასაბუთებით ახსნას შეეცადა.

თუ გადავხედავთ ქრისტიანობის ისტორიის საერთო სურათს, დავინახავთ რომ სწორედ ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის დიდი რეფორმატორი - იოანე დამასკელი (VIII საუკუნე) იყო ერთ-ერთი პირველთაგანი, რომელმაც შეიცვალა დოგმატიკური პოზიცია ფილოსოფიის მიმართ და შეეცადა მასში რაიმე გამოსადეგის („სულის მარგებელის“) პოვნას. ამ განწყობილებით მან დაამუშავა არისტოტელეს დიალექტიკა და კავშირი აღადგინა თეოლოგიასა და ფილოსოფიას შორის.

იოანე დამასკელის განწყობილების კვალდაკვალ ღვანლმოსილი ქართველი ექვთიმე ივერიელი და ეფრემ მცირე „გარეშეთა სიბრძნის“ ანუ ფილოსოფიის აღიარებამდე მიდიან, რასაც შემდეგნაირად ამართლებენ: „არც ესენი სულ არიან უმათოდ, არცა იგინი უამათოდო“ (გორგაძე, 1926:184).

მათთვის მისაღებ ფილოსოფიურ ნაშრომებზე დაყრდნობით ისინი ქმნიან საგანგებო დამხმარე სახელმძღვანელოებს საეკლესიო კრებებსა თუ დისკუსიებში მონაწილე თეოლოგებისათვის.

იოანე დამასკელი ფილოსოფიაში „რაიმე გამოსადეგს, სულის სარგებელს“ ეძებს. ეფრემ მცირის ინტერესი ფილოსოფიისადმი განმარტებულია მის ცნობილ გამონათქვამში: „ამათ მიერ წინააღმდეგებიან შვილნი ეკლესიისანი გარეშეთა მათ ფილოსოფოსთა და მათივე ისრითა განჰგურემდენ მათ, რამეთუ თქნიერ ამათ სიტყვითასა სხუებრ შეუძლებელ არს სიტყვსგება წინააღმდგომთა“, ანუ ფილოსოფიის ცოდნა აუცილებელია ღვთისმეტყველისათვის, რათა ფილოსოფიისავე ისრით განგმიროს მასთან მოკამათე ფილოსოფოსი (გორგაძე, 1926:184).

როგორ აზროვნებს პეტრინი? იგი ქედს იხრის როგორც ჭეშმარიტი რწმენის, ისე აზროვნების (ფილოსოფიის) წინაშე და მხოლოდ მათ თანაბარ ურთიერთკავშირში წარმოუდგენია „ჭეშმარიტი ხედვის“ შესაძლებლობა. ჩვენთვის საინტერესო მუსიკალური პარალელების შემთხვევაში, პეტრინი მუსიკალურ ხელოვნებას იყენებს სააზროვნო ასპარეზად თეოლოგიური საიდუმლოს თვალსაჩინოებისთვის; ეროვნული მუსიკალური ხელოვნების პრინციპებში პოულობს „სულის

მარგებელს“ და ნმ. სამების დოგმის საიდუმლოს ანარეკლზე მიუთითებს მოკვდავთ მათთვის ჩვეულ ყოფით მუსიკალურ-ესთეტიკურ გარემოში.

პეტრინის სამუსიკო არგუმენტები თეოლოგიისთვის შეიქმნა, თეოლოგიას ემსახურა, ისევე როგორც ეს მოხდა ეფრემ მცირის, ექვთიმე ივერიელის, სხვა ქართველი სულიერი მამებისა და რაც განსაკუთრებით ნიშანდობლივია, ბიზანტიური ლიტურგიკის უდიდესი რეფორმატორის – იოანე დამასკელის შემთხვევაში. მაშინ ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით ვსვამთ კითხვას: რა მოტივით უნდა ჩამოერთვას პეტრინისეულ სამუსიკო ინფორმაციას ქართული მრავალხმიანობის ხნოვანებისა თუ ქართულ საგალობელში სამხმიანობის კანონიკურობის დამადასტურებელი არგუმენტის ღირებულება?

ნათელი რომ მოვფინოთ დღევანდელ პრობლემას, ბრალდებას ქართული კანონიკური გალობის მისამართით, თავს უფლებას მივცემთ და მკითხველის სამსჯავროზე უკომენტაროდ გამოვიტანო მხოლოდ რამდენიმე ფაქტს უცხოეთის ქართულ სასულიერო კერებში მიმდინარე ქართულ-ბერძნული ურთიერთობების ისტორიიდან.

**ჯვრის მონასტერი, იერუსალიმი (XI საუკუნე, აღმშენებელი გიორგი-პროხოვე).**

მ. ბროსე, რ. ჟანენი და კიდევ არაერთი სარწმუნო წყარო იუწყება, რომ „ძველად იმ ხალხთა შორის, რომელსაც განსაკუთრებული უპირატესობა ჰქონდათ წმინდა ქალაქში, ქართველებს უდავოდ ერთი უპირველესი ადგილი ეჭირათ“... მათ უფლება ეძლეოდათ ბაჟის გადაუხდელად ცხენზე ამხედრებულთ ეროვნული დროშებით ევლოთ იერუსალიმის ქუჩებში (Brosset, 1841:174; Jeanen, 1913: 10). ქრისტიანული საქართველოს ავტორიტეტის დამადასტურებელია ის ფაქტი, რომ ჯვაროსნული ომების დროს (XII საუკუნე) ძველი მესაკუთრეების გამგებლობაში დარჩენილი სამი მონასტრიდან ერთ-ერთი ქართული იყო. რუსული წყაროების მიხედვით „იერუსალიმში ჯვაროსნების მიერ წარმოებული დაპყრობითი ბრძოლებიდან მოყოლებული, მხოლოდ სამი მონასტერი შეუნარჩუნდათ მართლმადიდებლებს: ქართული ჯვრის მონასტერი, ბერძნული „დიდი პანაგია“ და „წმ. საბას“ სამონასტრო ეკლესია“ (I i i â, 1903:223).

პოლიტიკურ-ეკონომიკურად დასუსტებული საქართველო მე-17 საუკუნემდე დიდი გაჭირვებით მოპოვებული შემოწირულობებით ინარჩუნებდა ჯვრის მონასტერს, მაგრამ მე-17 საუკუნეში იერუსალიმის პატრიარქმა დოსითეოსმა ბერძნებს გადასცა მონასტერი, ქართველი ბერები გადაიყვანა სხვა ტაძრებში, ჯვარში მოღვაწე ქართველებს აეკრძალათ მაღალი რეგალიების დაკავება. მე-19 საუკუნის მიწურულს სავანის მნახველი ქართველი მოგზაურები შეწუხებული იტყობინებიან, რომ ჯვრის მონასტრის ქართული ფრესკები თეთრი საღებავითაა დაფარული. ჯვარზე ქართველთა მოღვაწეობის კვალი წაშლილია (მენაბდე, 1980:127,129,132).

**ათონის ივერთა მონასტერი, საბერძნეთი (X საუკუნე, აღმშენებლები – იოანე და თორნიკე ათონელები).**

არც ერთ სამონასტრო კომპლექსს ისეთი მნიშვნელობა არ ჰქონია ქართული კულტურის ისტორიაში, როგორც ათონის ივერთა მონასტერს. თავისი მაღალი შემოქმედებითი მიღწევებით ათონის სალიტერატურო სკოლას ერთ-ერთი საპატიო ადგილი უჭირავს მთელს საქრისტიანო სამყაროში. მე-11 საუკუნიდან უკვე

ბერძნებსა და ქართველებს შორის იწყება ქრისტიანობისათვის სრულიად შეუფერებელი დავა და დაპირისპირება, რაც გამომწვეულია ბერძენთა მხრიდან ქართული მონასტრის მითვისების სურვილით. საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკურ-ეკონომიურ დასუსტებასთან ერთად ეს ბრძოლა მწვავედ და მთავრდება ბერძნების გამარჯვებით. ათონური ხელნაწერთა არქივი ამ უსიამოვნო ისტორიის დამადასტურებელია. ათონელი ქართველები იტყობინებიან: „ბერძენნი ვითარცა ცეცხლი აღეგზნეს ჩვენ ზედა და სრულიად აღმოფხვრა ჩვენი ენება და დაპყრობაი სამკვიდრებელისა ჩვენისა“ (ძეგლები II, 1967:93).

მე-14 საუკუნეში კონსტანტინოპოლის პატრიარქის კალისტე I-ის (1350-1360) ნებით ბერძნებს გადაეცა მონასტრის მთავარი საკრებულო „ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი“. ქართველებს აეკრძალათ მონასტერში საპასუხისმგებლო თანამდებობების დაკავება, სამოღვაწეოდ მათ პატარა ეკლესია მიუჩინეს (Ōñi áñ - ññéé, 1877:170).

1882 წელს ქართველი ისტორიკოსი და მოგზაური გ. ნადარეიშვილი მონასტრის აღწერისას აფიქსირებს „ივირონის დამაარსებელ ქართველ სასულიერო პირთა და მეცენატ მეფეთა ამსახველ ისტორიულ სურათებს და შემორჩენილ წარწერებს. რამდენიმე წლის შემდეგ იგი იუწყება, რომ „მხატვრობა წარხოცილია“, ხოლო წინანდელი წარწერები შეცვლილია. მეფენი საქართველოსანი“-ს ნაცვლად წერია „ბიზანტიელი მეფენი და აღმშენებელნი“; „დედოფალი ნესტან-დარეჯანი“-ს ნაცვლად – „ირინე დედოფალი“ (ნადარეიშვილი, 1900).

### **პეტრიწონის მონასტერი, ბულგარეთი (XI საუკუნე).**

ათონის ივერთა მონასტერთან ერთად პეტრიწონის მონასტერი ერთი იმ სავენეთაგანია, რომელმაც დაგვიტოვა განსაკუთრებული ღირებულების ორიგინალური ლიტერატურული მემკვიდრეობა. ოცი წლის განმავლობაში სწორედ აქ მოღვაწეობდა იოანე პეტრიწი. იგი დააარსეს იმპერატორ ალექსი კომნენოსის დაახლოებულმა პირებმა ქართველმა დიდებულებმა გრიგოლ და აბაზ ბაკურიანისძეებმა.

აშენებისთანავე მონასტრისათვის შეუდგენიათ ტიპიკონი – ერთი ქართული და ორი ბერძნული პირი. ამათგან იურიდიული ძალის მქონე ერთი ბერძნული პირი ინახებოდა კონსტანტინოპოლში. ეს უკანასკნელი, გრიგოლ ბაკურიანისძის გარდაცვალებისთანავე – 1086 წელს დაიკარგა; დარჩენილი პირების მიხედვით კი ძმები ბაკურიანისძეები გამოცხადდნენ ქართული აღმსარებლობის მქონე სომეხ ქალკედონისტებად. და ეს მაშინ, როდესაც თავად გრიგოლ ბაკურიანისძე სრულიად გარკვევით იუწყება, რომ იგი არის „შვილი ნეტარი ბაკურიანისა“, წარმოშობით „ერისთავ იბერთა ბრწყინვალე გვარიდან“ ეროვნებით ქართველი. აღნიშნული გაუგებრობა გრძელდებოდა მანამ, ვიდრე ქართველმა მეცნიერებმა ბულგარელი მეცნიერების დახმარებით საბერძნეთის კუნძულ ხიოსზე არ მიაგნეს მე-13 საუკუნით დათარიღებულ ტიპიკონის ბერძნულ პირს, რომელიც ორიგინალის ასლს წარმოადგენს. ამ ფაქტმა საბოლოო წერტილი დაუსვა გაუთავებელ დავას პეტრიწონის აღმშენებელთა ეროვნული წარმომავლობის შესახებ (მენაბდე, 1980). მეტად ნიშანდობლივია, რომ ბაკურიანისძეებმა პეტრიწონი დაუქვემდებარეს არა კონსტანტინოპოლის, არამედ იერუსალიმის პატრიარქს, რაც დასტურდება ტიპიკონზე ხელმოწერით. გაკვირვებას იწვევს ტიპიკონის შინაარსი, რომელიც მკაცრად განსაზღვრავს მონესეთა ეროვნულ შემადგენლობას. იგი კრძალავს ბერძენ მონესეთა მსახურებას მონასტერში. როგორც ჩანს, სხვა ქართულ სავე-

ანეებში მიღებულმა მწარე გამოცდილებამ განაპირობა ტიპიკონის შემდგენელთა ამგვარი განწყობილება.

და ბოლოს, მკითხველის საკომენტაროდ მოგვინდვია გ. ნადარეიშვილის გულისტკივილით აღსავსე შემდეგი ცნობა: „ათონის მთაზე დაცული ყოველი ეროვნების მონასტერს აქვს არსებობის, სწავლის და საღმრთო ქმედების ნება, გარდა ქართულისა. გარდა ქართულისა, თავიანთი მონასტრის უფლება არა ერს არ დაუკარგავს“ – იტყობინება იგი (ნადარეიშვილი, 1900). საინტერესოა, რატომ? – „ახალი ქვემარტი“ ქართული გალობის ძიება ბერძნული სამგალობლო ტრადიციების წიაღში ხომ არ არის გაგრძელება ზემოთ მოთხრობილი უსიამოვნო ისტორიებისა?

ქართული სამხმიანი სასულიერო მუსიკა, საქართველოში თუ მის გარეთ არსებულ სავანეებში მოღვაწე ქრისტიანული კანონიკის უზადლოდ მცოდნე, პროფესიონალ ქართველ ჰიმნოგრაფთა შემოქმედების ნაყოფია. იოანე პეტრიწის თხზულებები ამ ფაქტის წერილობითი დასტურია.

ამა წლის გაზაფხულზე ქართულმა კულტურამ განიცადა მნიშვნელოვანი დანაკარგი. იერუსალიმის ქართულ ჯვრის მონასტერში ხელყოფილ იქნა საყოველთაოდ ცნობილი XII საუკუნის ქართული პოემის „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის შოთა რუსთაველის ფრესკა – კერძოდ, წარხოცილ იქნა მისი სახე. იერუსალიმის ჯვრის მონასტერი დღესაც ბერძენი ბერების გამგებლობაშია. დაზიანებული ფრესკის სანახავად ჩასულ ქართულ დელეგაციას მონასტერში უარი ეთქვა მიღებაზე. რამდენიმე კვირის შემდეგ კვლავ გამეორდა ქართული ფრესკის მიმართ ვანდალური ქმედება. საქართველოს პრეზიდენტის იერუსალიმში სტუმრობის ფაქტთან დაკავშირებით ბერძენებმა გამოიჩინეს ვითომდა „კეთილი ნება“ და კვლავ ხელჰყვეს ფრესკა: ქართულ მხარესთან შეუთანხმებლად, სარესტავრაციო ნორმების დაცვის გარეშე მოხატეს რუსთაველის სახე და ყოველივე ეს ხდება დღეს, XXI საუკუნეში.

საერთაშორისო სიმპოზიუმზე წარმოდგენილი მოხსენების მიზანი სრულიად კონკრეტულია და მდგომარეობს შემდეგში:

1) გვსურდა მუსიკალური მრავალხმიანობის პრობლემებისადმი მიძღვნილ საერთაშორისო სიმპოზიუმზე მოწვეული მეცნიერებისათვის განგვემარტა მრავალხმიანი ქართული სასულიერო მუსიკის მიმართ წაყენებული ბრალდების შინაარსი, მიზეზი და წარმომავლობა. თითოეული ქართული საგალობელი ქართველი ხალხის მიერ აღიქმება, როგორც ძველი მუსიკალური ფრესკა; დაუშვებელია მას ეწვიოს რუსთაველის ფრესკის ბედი. გვჯერა, რომ მსოფლიო მუსიკალური საზოგადოება ამაში დაგვეხმარება.

2) ამ ნაშრომით ჩვენ ასევე გვსურს კიდევ ერთხელ შევახსენოთ ძველი ქართული გალობის ოპონენტებს, რომ თანამედროვე ქართული მუსიკის მეცნიერებას იოანე პეტრიწის თხზულების სახით გააჩნია უმტკიცესი საბუთი მრავალხმიანი ქართული სასულიერო მუსიკის ხნოვანებისა და კანონიკურობის შესახებ. იოანე პეტრიწის მუსიკალური ესთეტიკა, მისი თხზულების მნიშვნელობა ქართული მუსიკის ისტორიისათვის ამ თვალსაზრისით განუზომელია.

## დამონმებული ლიტერატურა

გაბისონია, თამაზ. (2002). „ასე გალობდნენ ძველად საქართველოში“-ს შესახებ. კრებულში: ანდრიაძე, მანანა (რედ.), ქართული საეკლესიო გალობის თანამედროვე პრობლემები. გვ. 7-32. თბილისი: საეკლესიო გალობის ცენტრი.

გოგიბერიძე, მოსე. (1961). რუსთაველი, პეტრინი, პრელუდიები. თბილისი: საბჭოთა მწერალი.

გორგაძე, სერგო. (1926). იოანე დამასკელი ქართულ მეცნიერებაში. თბილისი: მიმომხილველი.

იაშვილი, მზია. (1975). ქართული მრავალხმიანობის საკითხისათვის. თბილისი: განათლება.

კეკელიძე, კორნელი. (1960). ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია. ტომი I. თბილისი: მეცნიერება.

მენაბდე, ლევან. (1980). ძველი ქართული კერები. თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ნადარეიშვილი, გიორგი. (1900). ათონის ივერიის მონასტრის შესახებ, ივერია, 4, II, 26.

პეტრინი, იოანე. (1937). შრომები. ტომი II. გამომცემელი შალვა ნუცუბიძე. თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

სირაძე, რეზო. (1987). ლიტერატურულ ესთეტიკური ნარკვევები. თბილისი: განათლება.

ფირცხალავა, ნინო. (2002). მზახრი, ყირი, ბამის შესახებ „განმარტებაში“. კრებულში: ანდრიაძე, მანანა (რედ.), ქართული საეკლესიო გალობის თანამედროვე პრობლემები. გვ. 32-40. თბილისი: საეკლესიო გალობის ცენტრი.

ფირცხალავა, ნინო. (2003). პეტრინის ფილოსოფია და ქართული მრავალხმიანობა. კრებულში: წურწუშია, რუსუდან (პ/მ რედ). ტრადიციული მრავალხმიანობის პირველი საერთაშორისო სიმპოზიუმი. მოხსენებები. გვ. 109-118. თბილისი: თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია.

Ēī nāā, Àèāēñāí äð. (1978). Ḳñò àò èèā Áí çðí ãñāí èÿ. Ì í ñèèā: Ì ù ñèù.

Ī ī ī ā, Àèāēñāí äð (1903). Ēàò èí ñèāÿ Ēàðñàèèè ñèāÿ ī àò ðèàððèÿ ÿí ī ðè èðñò Ì í ñòāā. ÑĪ ā.

Ōñī āí ñèèé, Ī . (1877). Ī àðāí ā ī óò àð àñò àèā ā Àó í ñèèā Ì í āñò ù ðè. Ēèāā.

Brosset, Marie-Felicite. (1841). Notice des manuscrits Georgiens récemment acquis par l'Académie. BS, VIII, N20.

Jeanen, Rene. (1913). Les Georgiens a Jerusalem. EO, XVI. Istanbul.

სურათი 1. ჯვრის მონასტერი, იერუსალიმი (XI საუკუნე)  
FIGURE 1. The Holy Cross Monastery, Jerusalem (11<sup>th</sup> century)



სურათი 2. რუსთაველის ფრესკა, ჯვრის მონასტერი, იერუსალიმი  
FIGURE 2. A Fresco of Shota Rustaveli, The Holy Cross Monastery, Jerusalem



სურათი 3. ათონის ივერთა მონასტერი (X საუკუნე)  
FIGURE 3. The Iveron Monastery on Mount Athos (10<sup>th</sup> century)



სურათი 4. პეტრიწონის  
(ბაჩკოვო) მონასტერი (XI  
საუკუნე)  
FIGURE 4. The Petridsoni  
Monastery – Bachkovo (11<sup>th</sup>  
century)